

A faint, light-colored outline map of the world serves as the background for the entire page. A small red square is placed on the map, specifically over the region of Eastern Europe, near the borders of Georgia and Armenia.

# „ჯერ დოვლათი შევქმნათ, შემდეგ გადავანაწილოთ“ ვინრო პერსპექტივა

ანდრე გერბერი / მარკუს შრაიერი

იანვარი 2018

- ჯერ დავაგროვოთ შემდეგ გადავანაწილოთ, - ამ არგუმენტის სისუსტე დასტურდება იმ ფაქტით, რომ ხელფასების დონე [გერმანიაში] უკვე დიდი ხანია მუდმივად იკლებს, როდესაც, მოგებიდან მიღებული შემოსავლების წილი იზრდება. სტაბილური ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა მოგებისა და განეული შრომის შედეგად მიღებულ შემოსავლების თანაფარდობა. ეს განვითარება აჩვენებს, რომ ე.წ. Trickle-down ეფექტი (აღ)არ მოქმედებს, რადგანაც დამატებით დაგროვილი დოვლათი ნაკლებად ან საერთოდ არ გადანაწილებულა დასაქმებულთა ფართო მასებზე.
- თანაფარდობის დარღვევა მოგებისა და განეული შრომის შედეგად მიღებულ შემოსავლების შორის წარმოშობს უთანასწორობას, რაც ინვეს მოთხოვნის შემცირებას და თავის მხრივ ამცირებს ბიზნესის მხრიდან ინვესტიციების განხორციელების სურვილს. საბოლოოდ, ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე. 2007 და მომდევნო წლების ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ შემოსავლებს შორის მზარდი უთანასწორობა არ ქმნის მყარ საფუძველს მძლავრი და გრძელვადიანი ზრდის პროცესისათვის.
- გადანაწილების მთავარი დანიშნულებაა ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ამიტომ ის ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში უნდა იყოს. გარდა ამისა, მისი მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო არამდგრადი მდგომარეობის გამოსწორება, არამედ მძლავრი და სტაბილური მოთხოვნის, პროდუქტიულობისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევაც.

ვინც ფიქრობს, რომ ქვეყნის მთლიანი შემოსავლების განაწილების საკითხი პროდუქციის წარმოების შემდეგ უნდა გადაწყდეს და შესაბამისად, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დოვლათის დაგროვება, ძალიან ცდება. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: განაწილება იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ეკონომიკურ დოვლათის დაგროვებაზე სწორედ მას შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიოს.

საჯარო დებატებში ძალიან ხშირად მოაქვთ ხოლმე არგუმენტი, რომ სანამ ეროვნულ შემოსავალს გადავანაწილებთ, ის ჯერ ეკონომიკურად უნდა დავაგროვოთ და შევქმნათ. როგორც ნესი, სწორედ ეს არგუმენტი უდევს საფუძვლად მოთხოვნას, რომ დასაქმებულებმა ჯერ დაბალ ხელფასზე იმუშაონ, რათა ხელფასით გამონვეული ხარჯებით ბიზნესის განვითარება არ შეაფერხონ. ამ მიდგომის მომხრეები ასევე ავითარებენ აზრს, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს საბაზრო პროცესებში და უარი უნდა თქვას მაღალი შემოსავლებისა და განსაკუთრებით კი ბიზნესის მოგების დაბეგვრაზე, რათა ამით ხელი არ შეუშალოს ბიზნესის წარმატებას და ინვესტიციების მოზიდვას. იგივე არგუმენტაციით, თუ ბაზრის ძალებს თავის ნებაზე მივუშვებთ და მას თავისუფალი, ეფექტური განვითარების საშუალებას მივცემთ, აუცილებლად მოხდება მეტი ინვესტირება და ამ გზით დაგროვდება დიდი სოციალური პროდუქტიც (საბაზრო ეფექტურობის თეორია). ხოლო ამგვარად შექმნილი დიდი საერთო ეკონომიკური „ნამცხვრისაგან“ ანუ მთლიანი ეროვნული შემოსავლებიდან ყველა მიიღებს სარგებელს, განსაკუთრებით კი მოსახლეობის მცირე და საშუალო შემოსავლიანი ფენები, რამეთუ ისინი ავტომატურად მიიღებენ გაზრდილ ხელფასებს (Trickle-down-ის ეფექტი<sup>1</sup>). მაგრამ ისმის კითხვა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს არგუმენტაცია?

გრძელვადიანად მხოლოდ დაგროვილი დოვლათის გადანაწილება შეიძლება

თუ გრძელვადიან ჭრილში შევხედავთ, ზემოთ მოტანილ არგუმენტაციაში სწორია ის, რომ დიდი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი მხოლოდ პროდუქტიული ეკონომიკის მეშვეობით შეიძლება დაგროვდეს. გერმანიასა და სხვა მაღალგანვითარებულ ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დღესდღეობით მიღწეული კეთილდღეობის სტანდარტი ემყარება იმ ინოვაციებს და მისგან გამომდინარე პროდუქტიულობის მოგებას, რომელიც ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე იქმნება. ამასთანავე, ძალაში რჩება შემდეგი ურთიერთკავშირიც: თუ ამოვალთ უწყვეტი შრომითი და წარმოების პროცესიდან, რომელსაც წელიწადში ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდა მოყვება, დაახლოებით ყოველ 70 წელში ერთხელ, მივიღებთ მთლიანი კეთილდღეობის ანუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების გაორმაგებას. ხოლო თუ შრომის ნაყოფიერება წელიწადში ორი პროცენტით გაიზრდება, მაშინ საერთო კეთილდღეობა, ანუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, ყოველ 35 წელში ერთხელ გაორმაგდება. ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან, შუალედურ მიზანს წარმოადგენს ნაყოფიერების ამაღლება, მაგრამ ამასთანავე, ეს ამაღლება არ უნდა მოხდეს ე.წ. ნეგატიური ეფექტების საშუალებით, მაგალითად, შრომის პირობების ან გარემოს გაუარესების ხარჯზე.

ზემოთ მოტანილ არგუმენტაციაში სწორია ის, რომ გრძელვადიანი პერსპექტივით, შესაძლებელია მხოლოდ უკვე შექმნილი და დაგროვილი ეროვნული დოვლათის გადანაწილება. ხოლო თუ რა ოდენობის ეკონომიკური დოვლათი შეიძლება გადანაწილდეს, ეს უკვე დამოკიდებულია საშუალო პერსპექტივიდან გამომდინარე, საერთო ეკო-

1. Trickle-down-ის ეფექტის მიხედვით ეკონომიკური განვითარება და მდიდრების საყოველთაო კეთილდღეობა მათი მოხმარებისა და მოსახლეობის დაბალ ფენებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად თანდათანობით იქმნება. ამ თეორიით, მდიდრების შემოსავლების მატება ეტაპობრივად მოსახლეობის დანარჩენ, ქვედა ფენებშიც შეაღწევს. ემპირიული კვლევები და თეორიული მოსაზრებები ამ მტკიცების მართებულობას ეჭვქვეშ აყენებენ (მოგ.)

ნომიკური პროდუქტიულობის ზრდაზე და ასევე, ცენტრალური ბანკის ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე. თუ გერმანიის მაგალითს ავიღებთ და ამოვალთ წელიწადში საშუალოდ ერთი პროცენტი ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდიდან და ამას ევროპის ცენტრალური ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის კურსს - დაახლოებით ორ პროცენტსაც - მივათვლით, მაშინ ეს კომბინაცია დაახლოებით სამი პროცენტის გადანაწილების საშუალებას მოგვცემს. ამგვარი მოცემულობით, ნომინალური ხელფასები (და მოგებებიც) შეიძლება ყოველწლიურად დაახლოებით სამი პროცენტით გაიზარდოს, ისე რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ დაირღვეს. ხელფასები მაშინაც უნდა გაიზარდოს, თუ ვინიცაა, მოხდა შრომის ანაზღაურებისა და მოგების შემოსავლის მიმღებთა შორის განაწილების თანაფარდობის შეცვლა.

გადანაწილება მუდმივად ხდება, საკითხავია: როგორ ან ვისზე?

რეალობა ასეთია: ბოლო წლებისა და ათწლეულის განმავლობაში გერმანიაში ნომინალური ხელფასები, საერთო ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდასთან შედარებით და ცენტრალური ბანკის ინფლაციის მიზნობრივი (გეგმიური) მაჩვენებლის (Zielinflationsrate) გათვალისწინებით, საშუალოდ გაცილებით ნელა იზრდებოდა, რადგან მოქმედებდა ხელფასების დაწესების (Lohnzurückhaltung) ხანგრძლივი პრაქტიკა. დაქირავებულთა მხრიდან გადანაწილების საშუალების სრულყოფილად ვერ გამოყენების სავალალო შედეგი კი კარგად ჩანს თუნდაც იმით, რომ ხელფასების დონე უკვე დიდი ხანია მუდმივად კლებულობს, ამავდროულად, მოგებიდან მიღებული შემოსავლების წილი იზრდება. ამის შედეგად, ბოლო წლებისა და ათწლეულის განმავლობაში შემოსავლების ხვედრითი წილის უმეტესი ნაწილი მოდის მოგების შემოსავალზე, მაშინ როდესაც საერთო შემოსავლებში განეული სამუშაოდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი მცირდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, თანაფარდობა მოგებისა და განეული შრომის შედეგად მიღებულ შემოსავლებს შორის შეიცვალა პირველის სასარგებლოდ, ამ

უკანასკნელის ხარჯზე. ეს ტენდენცია გერმანიაში (და ასევე საერთაშორისო ასპარეზზეც) განსაკუთრებით გაძლიერდა 90-იანი წლების ბოლოდან 2000-იანი წლების შუა ხანებამდე. ამასთანავე, კერძო შემოსავლების განაწილების ინდიკატორები მიუთითებენ, რომ შემოსავლების უთანასწორობა გერმანიაში ბოლო ათწლეულში სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა. შემოსავლების უთანასწორობის განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა კი აღინიშნებოდა 90-იანი წლების ბოლოდან 2000-იანი წლების შუა პერიოდამდე. მართალია, უშუალოდ ბოლო წლებში შემოსავლების უთანასწორობა მეტად არ გაზრდილა, მაგრამ ის ინარჩუნებს შედარებით მაღალ დონეს. მაშინ, როდესაც მაღალი შემოსავლების მქონე 10%-მა რეალური შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდა მოახერხა, დანარჩენ 90%-ს დაგროვილი დოვლათიდან ნაკლები ან საერთოდ არანაირი სარგებელი არ უნახავს. ეს განვითარება აჩვენებს, რომ ზემოთ მოტანილი არგუმენტაციისგან განსხვავებით, ე.წ. Trickle-down ეფექტი (აღ)არ მოქმედებს, რადგანაც დამატებით დაგროვილი დოვლათი ნაკლებად ან საერთოდ არ გადანაწილებულა დასაქმებულთა ფართო მასებზე.

ძალაში რჩება: ეკონომიკური დოვლათის დაგროვებას განაპირობებს გადანაწილება

ასევე, ზემოდ მოტანილი არგუმენტაციისგან განსხვავებით არ დასტურდება, რომ მზარდმა „ქვემოდან ზემოთ“ გადანაწილებამ გერმანიაში მეტი ინვესტიცია და ზრდა მოიტანა. მოხდა საპირისპირო: ბოლო ათწლეულში გერმანიასა და მსოფლიოში სოციალური პროდუქტის უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა. ამასთანავე, როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში უკვე დიდი ხანია შეიმჩნევა ინვესტიციების შემცირება. ეს კი მთელი ეს პერიოდი საერთო ეკონომიკური ნაყოფიერების ზრდას მნიშვნელოვნად ანელებს. თუ ამგვარი განვითარება გაგრძელდება, ეს გერმანიის მომავალ კეთილდღეობის განვითარებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. არა მარტო სალი აზრით, არამედ თეორიული მოსაზრებებითა და ახალი ემპირიული კვლევებითაც მტკიცდება, რომ ბოლო

ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის ფართო ფენების ხელფასების დაწნეხვის ხარჯზე განხორციელებულმა გადანაწილებამ გერმანიასა (და სხვა ქვეყნებში) საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიური გავლენა იქონია. შემოსავლებს შორის მზარდი უთანასწორობა ასუსტებს მოხმარებისადმი მიდრეკილ საშუალო და დაბალი შემოსავლიანი ფენების მოხმარების მოთხოვნას, რის შედეგადაც მცირდება ბიზნესის მხრიდან ინვესტიციების განხორციელების სურვილიც და შესაბამისად ფერხდება ეკონომიკური ზრდის პროცესიც. გარდა ამისა, ეს უთანასწორობა მიწოდების კუთხითაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, რადგანაც შემცირებული მოთხოვნისა და ზრდის გამოისობით ბიზნესი ნაკლებ ინვესტიციებს ახორციელებს ადამიანური თუ საგნობრივ რესურსებში და შიდა განვითარებასა და კვლევებში (კ&გ კაპიტალი<sup>2</sup>). შემოსავლების განაწილების თვალსაზრისით ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები<sup>3</sup> ძალიან ძნელად ან საერთოდაც ვეღარ ახერხებენ განათლებისა და ჯანმრთელობის ხარჯების დაფარვას. ეს ორივე ფაქტორი ერთად კი სპობს ინოვაციების შექმნის შესაძლებლობას და აფერხებს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას, რასაც თავის მხრივ ნეგატიური შედეგები მოაქვს საერთო ეკონომიკური პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. საბოლოოდ კი 2007 და მომდევნო წლების ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ შემოსავლებს შორის მზარდი უთანასწორობა არ ქმნის მყარ საფუძველს მძლავრი და გრძელვადიანი ზრდის პროცესისათვის.

სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური დოვლათის შექმნაში

სტატიის დასაწყისში მოტანილი არგუმენტაციისგან განსხვავებით, გადანაწილებას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური დოვლათის შექმნაში. ამიტომ ხელფასების გაზრდა გერმანიაში მართებული იქნებოდა არა მხოლოდ ბოლო ათწლეულის განმავლობაში შექმნილი არამდგრადი მდგომარეობის გამოსასწორებლად, არამედ მძლავრი და სტაბილური მოთხოვნის, პროდუქტიულობისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი საგადასახადო პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარებაც, როგორცაა საერთო ეროვნული შემოსავლების „ზემოდან ქვემოთ“ გადანაწილება. ამის მაგალითია პროგრესული დაბეგვრის შემოღება დიდ (არასამუშაო საშუალებით მიღებულ) შემოსავლებზე. ასეთი შემოსავლების რიცხვს მიეკუთვნება ქონება და მემკვიდრეობა, ანდა კიდევ გადასახადების თავის არიდებისა და დამალვის პრაქტიკის ეფექტური აღმოფხვრა. როგორც სოციალური პარტნიორების, ისე სახელმწიფოს გადანაწილების პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკური პროცესების ნაყოფიერი, დადებითი მიმართულებით წარმართვა. ამ შემთხვევაში სოციალური პარტნიორები ხელფასების მომატების საშუალებით მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ე.წ. პირველად გადანაწილებას. სახელმწიფო კი შრომის ბაზრისა და სასაქონლო ბაზრის რეგულირებით გავლენას ახდენს პირველად გადანაწილებაზე, ხოლო საგადასახადო და დაბეგვრის პოლიტიკების მეშვეობით მეორად გადანაწილებას წარმართავს.

უფრო მეტიც, სახელმწიფო კერძო სექტორში შექმნილი ეკონომიკური დოვლათის მხოლოდ უბრალო გამანაწილებელი კი არაა, როგორც ამას დასაწყისში მოტანილი არგუმენტაცია ამტკიცებდა, არამედ ის მჭიდრო, სიმბიოზურ კავშირშია კერძო ბაზრებთან და დიდი წვლილი შეაქვს მთლიანი, კომპლექსური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში. ამის მაგალითია საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოქმედებაში მოყვანა. სახელმწიფოს საკუთრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო

2. კ & გ კაპიტალი (გერ. F&E Kapital, ინგლ. R & D Capital) აღნიშნავს ინვესტიციებსა და კაპიტალურ ხარჯებს, რასაც ესა თუ ის კომპანია ახორციელებს შიდა სანარმო კვლევებისა და განვითარებისათვის.

3. აქ იგულისხმება როგორც ერთი პირისაგან, ასევე მრავალი წევრისაგან შემდგარი ოჯახი (მთვ.)

ეკონომიკური მოთხოვნის, პროდუქტიულობისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, რამდენადაც იგი ახორციელებს ინვესტიციებს ეკონომიკის, ტექნოლოგიურ თუ სოციალურ ინფრასტრუქტურებში და ატარებს ღონისძიებებს ისეთ სფეროებში, როგორცაა სამუშაო ბაზარი, განათლება, კვლევა, ოჯახი, ჯანმრთელობა, მოხუცთა და ავადმყოფთა მოვლა-მზრუნველობა. სახელმწიფოს ხელში არსებულ ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთო სახალხო შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის და ასევე, ოჯახთა განკარგულებაში არსებული საქონლის სტრუქტურის კუთხით.

ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში გადანაწილების საკითხები უნდა იდგეს

ზოგადად, ეროვნული შემოსავლების გადანაწილება არ წარმოადგენს მეორეხარისხოვან საკითხს, სწორედ ამექანიზმით განისაზღვრება მთლიანი ქვეყნის მეურნეობის ეკონომიკური სიმძლავრე და ქმედუნარიანობა, ასევე, ზრდის პროცესის სტაბილურობა და სიძლიერე. ამიტომაც გადანაწილება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თვითონ ეკონომიკური დოვლათის დაგროვება, რომელიც, დროის თვალსაზრისით, წინ არ უსწრებს გადანაწილებას, როგორც ამას დასაწყისში მოტანილი არგუმენტაცია ამტკიცებს, არამედ ეკონომიკური დოვლათის შექმნა და დაგროვება ერთდროული, სინქრონული და ურთიერთგანმსაზღვრელი პროცესებია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი ერთი და იგივე მედლის ორი მხარეა, ამიტომაც გადანაწილების საკითხები ყოველთვის უნდა იდგეს ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში.

## ავტორები

**დოქტორი ანდრე გერბერი** არის ფრიდრიხ ებერტის ფონდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი

**მარკუს შრაიერი** არის ფრიდრიხ-ებერტის ფონდის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განყოფილებაში რეფერენტი

მთარგმნელი: მაია რაზმაძე

## იმპრესარიუმი

F© 2017

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

გამომცემელი: ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილება

მისამართი: Godesberger Allee 149, 53175 Bonn

Fax: 0228 883 9205, <http://www.fes.de/wiso>

ფრიდრიხ-ებერტის ფონდის მხრიდან პუბლიკაციაზე პასუხისმგებელი პირია მარკუს შრაიერი, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილება  
საკონტაქტო მისამართი: [wiso-argumente@fes.de](mailto:wiso-argumente@fes.de)

დაუშვებელია ფონდის გამოცემების კომერციული გამოყენება ფონდის ნერილობითი თანხმობის გარეშე.